

შპს ჯი და ჯი

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის

ფინანსური ანგარიშგება

თბილისი 2020 წელი

ზოგადი ინფორმაცია

საწარმოს სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება - შპს ჯი და ჯი, ს/ნ 400010965 (შემდგომში - საზოგადოება).

საგადასახადო რეგისტრაციის თარიღია- 05.11.2010 წელი;

დღგ-ს გადამხდელია 2011 წლის 30 მარტიდან.

საზოგადოების იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ქერჩის ქ.12

საზოგადოებას საანგარიშო პერიოდში აქვს 2 (ორი) სალარო აპარატი

DY00114262 ერისთავის ქ.#1

DY00055002 ქერჩის ქ.#12

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო კაპიტალში შეადგენს:

1. ჯუმბერ მელაძე	ს/ნ 01019001111	-51%
2. ტარიელ მელაძე	ს/ნ 01019000988	- 49%

საზოგადოება სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში წილებს არ ფლობს.

საზოგადოების ხელმძღვანელია ტარიელ მელაძე, თანამშრომელთა რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 23 კაცს;

საზოგადოების საქმიანობაა: რბილი ავეჯის წარმოება.

საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღია 2019 წლის 31 დეკემბერი. ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი- არის 2019 წელი.

ზოგადი დებულებები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ უტყუარი და სამართლიანი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სასარგებლო იქნება დაინტერესებული პირებისთვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. შეფასების დროს ამ პრინციპებიდან გადახვევის შემთხვევაში, კეთდება განმარტებები ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების ფორმირება, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისთვის. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებებისგან. აქედან გამომდინარე, პერიოდულად ხდება ამ შეფასებების განხილვა და საჭიროებისამებრ განახლება, კორექტირება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებში, როდესაც ამის შესახებ გახდება ცნობილი.

წარდგენის ვალუტა

საზოგადოება აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ეკონომიკური შინაარსის და საქმიანობის შესაბამისად, ქართული ვალუტა აღიარებულია როგორც შეფასების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტის - ქართული ლარის გარდა, საზოგადოება საბანკო ტრანზაქციებს ანხორციელებს აშშ დოლარისა და ევრო-ს ანგარიშებით.

2019 წელს საზოგადოებამ მოახდინა უცხოურ ვალუტაში გამოსახული საბანკო სესხების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება, რის შედეგადაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კურსთა შორის სხვაობებიდან მიღებულმა ზარალმა შეადგინა 44656 ლარი.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისმობს, რომ საზოგადოება განაგრძობს უწყვეტად ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში.

ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებულია, ასე რომ მოიქცეს. მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განავითარონ და გააფაროვონ საზოგადოების მუშაობა.

ქვემოთ არის წარმოდგენილი საზოგადოების 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების საშედეგო ცხრილები და წინასაანგარიშგებო 2018 წლის შესადარისი მაჩვენებლები.

კერძოდ:

- საქმიანობის შედეგების ცხრილი;
- ფინანსური მდგომარეობის ცხრილი;
- კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ცხრილი;

შპს ჯი და ჯი

ფინანსური მდგომარეობა (საანგარიშგებო 2019 წელი), ლარი

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31/12/2019	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31/12/2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31/12/2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	35,186	24,727	176,484
სავაჭრო მოთხოვნები	169,916	216,770	54,910
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	246	450	23,606
სხვა მიმდინარე აქტივები			
მარაგები	212,570	216,856	390,417
ძირითადი საშუალებები	528,486	585,076	518,157
სხვა არამატერიალური აქტივები			
სულ აქტივები	946,404	1,043,879	1,163,574
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	72,004	48,229	111,645
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		4,208	11,480
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	573,752	623,546	572,108
საგადასახადო ვალდებულებები	5,568	5,516	5,320
სხვა ვალდებულებები	(8,690)	41,900	26,900
სულ ვალდებულებები	642,634	723,399	727,453
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	315,442	233,121	208,038
გაუნაწილებელი მოგება	(11,672)	87,359	228,083
გადაფასების ნამეტი			
სულ საკუთარი კაპიტალი	303,770	320,480	436,121
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	946,404	1,043,879	1,163,574

შპს ჯი და ჯი

ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა N2 საქმიანობის შედეგები 2019 წელი

		საანგარიშგებო პერიოდი 2019წ	საანგარიშგებო პერიოდი 2018წ
1	2	3	4
	ნეტო ამონაგები	764,708	1,184,071
	საქონლის გაყიდვიდან	719545	1,112,192
	მომსახურების გაწევიდან	45163	71,850
	სხვა		29
	სულ ხარჯი	776,380	1,096,712
	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	440334	719,720
	დასაქმებულთა ანაზღაურება	128501	185,387
	საპროცენტო ხარჯი	53157	41,407
	საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	44656	27,056
	კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	12305	15,168
	ცვეთა და ამორტიზაცია	59862	58,989
	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	37565	48,985
	საოპერაციო მოგება	(11,672)	87,359

შპს ჯი და ჯი

ფულადი სახსრების მოძრაობა (საანგარიშო პერიოდი 2019 წელი) ლარი

	საანგარიშო პერიოდი 2019 წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3134743
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	2249300
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	885443
სესხის ძირი თანხის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	780807
სესხის პროცენტის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	53157
ფულადი სახსრების გაცემა კაპიტალის შემცირების ხარჯზე	61938
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-10459
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	24727
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	35186

განმარტებითი შენიშვნები

1. სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

საზოგადოების ხელმძღვანელობას აქვს შემუშავებული და იყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სამართლიანად ასახავს საწარმოს საქმიანობის შინაარსს, ეკონომიკურ მოვლენებს და ობიექტურია.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის პირველადი შეფასების საფუძველი ცვლილებები საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში არ მომხდარა.

1. ძირითადი საშუალებები

საზოგადოების ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აქტივების ხელახალი შეფასება საზოგადოებაში არ განხორციელებულა, მათი ხელახალი შეფასების პრაქტიკული საჭიროება, საანგარიშო პერიოდში არ არსებობდა.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ანგარიში ხდება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი საშუალებები არ გასხვისებულა, ექსპლოატაციიდან არ ამოღებულა, მათ ნარჩენ საბალანსო ღირებულებამ, საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 528485 ლარი.

2. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე. საზოგადოებაში ფულადი სახსრების აკუმულირების წყაროა რბილი ავეჯის რეალიზაციიდან ამონაგები, რომლის მოცულობა 2019 წელს შეადგენს 764708 ლარს.

აქტივები

საზოგადოება აკონტროლებს საკუთარ აქტივებს-რესურსებს, რის საფუძველზეც იღებს და მომავალშიც მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

3. შემოსავალი

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დაუყოვნებლივ მის მიღებაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად.

2018 წელს შემოსავალი შეადგენდა 1184071 ლარს, ხოლო 2019 წელს შემოსავალი შეადგენს 764708 ლარს, სხვაობამ (კლება) შეადგინა 419363 ლარი, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 35,42%-იან კლებაში აისახა. მიუხედავად საზოგადოების მცდელობისა, რომ შემოსავლების პროპორციულად შეემცირებინა ხარჯები, ორგანიზაციამ 2019 წელი 11672 ლარის ზარალით დაასრულა.

ძირითადი გარემოებები, რამაც წლიურ შედეგზე იმოქმედა:

- 35,42%-ანი კლება შემოსავლების მხრივ, რაც ძირითადად გამოწვეული იყო 2019 წლის 1 იანვრიდან ახალი საბანკო რეგულაციების მიღებიდან, რამაც ფულად რესურსზე ხელმისაწვდომობა მოსახლეობას გაურთულდა და შესაბამისად მათი მსყიდველის უნარიანობა შემცირდა.
- არასაოპერაციო ხარჯების (საპროცენტო და საკურსო სხვაობა) ზრდამ წინა წელთან შედარებით სერიოზული გავლენა იქონია 2019 წლის ფინანსური შედეგის ფორმირებაზე.

4. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის მომენტისათვის.

წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საზოგადოების საქმიანობის შედეგი. შედეგებში აისახა მთლიანი და მათ შორის საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობები.

არასაოპერაციო ხარჯების ძირითადი ნაწილი 2019 წელს მოდის სასესხო ვალდებულებების დაფარვაზე.

საზოგადოებაში, საანგარიშო პერიოდში დივიდენდი არ გაცემულა.

5. ანგარიშების შემდგომი მოვლენები

შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში.

6. პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, ვინაიდან მოსალოდნელი არაა ეკონომიკური სარგებლის გასვლა საზოგადოებიდან და შესაძლებელია ვალდებულებების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული პირობითი აქტივები. ამ სახის ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის შესაძლებლობა საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შპს-ჯი და ჯი - ის დამფუძნებელი პარტნიორების 2020 წლის 22 სექტემბრის საერთო კრების საოქმო გადაწყვეტილებით.

შპს „ჯი და ჯი“

დირექტორი:



/ტარიელ მეცხაძე/

